№ 151

შაბათი, 26 ივლისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 151

შაბათი, 26 ივლისი 1897 წ.

**ფასი გაზეთისა:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

მღვდელი ნიკოლოზ გაბრიელის ძე დარჩია, ეფემია კაციას ასული დარჩია და შვილები მათი: მღვდელი გაბრიელ, ილარიონ და ფილიპე ნიკოლოზის ძენი დარჩიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველთა შვილისა და მეორეთა ძმის, განსვენებულის **ვიქტორ დარჩიას** ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 27 ივლისს, დილის 10 საათზედ, ოზურგეთის სობოროს ეკკლესიაში, სადაც განსვენებულია დასაფლავებული. (1—149—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
**მ. ლალიძის** გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა
აკაკისა
## ნათელა
(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
**ფასი თითო აბაზი.**
ვინც ამ წიგნს ერთად ნაღდ ფულზედ იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს-დადებითაც გაეგზავნებათ. (10—145—1)

## ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის რეალურ სასწავლებელში ხელ-მეორედ გამოცდა მოსწავლეებისა მოხდება 21, 22 და 23 აგვისტოს, ხოლო ახლად შემსვლელთა—26, 27 და 28 აგვისტოს.

⁂ ქალაქის საბჭოს ახლად ამორჩეულს ხმოსნებს პირველი კრება სექტემბრის პირველში ექმნებათ.

⁂ 29 ივნისიდგან 22 ივლისამდე საქონლის ჭირით ტფილისში სულ 26 მსხვილ-ფეხა საქონელი დაიხოცა. ჭირი თანდათან სუსტდება.

⁂ გუშინ წინ, 24 ივლისს, დილის 10 საათზედ, ტფილისის გუბერნატორს დ. ს. ს. თ. ა. ბიკოვს გამოეცხადნენ: ტფილისის ვიცე-გუბერნატორი, ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრნი, გუბერნიის სამმართველოს სამკურნალო გამგეობის და ამშენებელი განყოფილების მოხელენი. სალამის შემდეგ ახალმა გუბერნატორმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის განაცხადა, რომ იმედი მაქვს ადვილად შევიძლებ გუბერნიის მართვას თქვენის შემწეობით და დახმარებითაო. შემდეგ მან დაათვალიერა გუბერნიის სამმართველოს და საგლეხო საქმეთა საკრებულოს სადგომები და ბოლოს თავის კანცელარიაში წავიდა, სადაც მას გამოეცხადნენ: საეროზო დარაჯის ინსპექტორი თავ. ნ. ჩოლოყაშვილი, გუბერნატორის სავანგებო საქმეთა მოხელენი, გუბერნატორის კანცელარიის და საპატიმროს კომიტეტის მოხელენი.

⁂ გუშინ, 25 ივლისს, დილის 9 საათზედ, პოლიციმეისტერის მმართველობაში ახალს გუბერნატორს თ. ა. ბიკოვს გამოეცხადნენ ტფილისის პოლიციის მოხელენი. ბ-ნმა თ. ა. ბიკოვმა მიჰმართა პოლიციის მოხელეებს და სთქვა, იმედი მაქვს, რომ კმაყოფილი ვიქმნები თქვენის მოქმედებითაო.

⁂ გუშინ, 25 ივლისს, ბუხარის ემირი კავკავში მოვიდა და იქიდგან ტფილისში ჩამოვა, სადაც რამდენსამე დღეს დაჰყოფს.

⁂ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამერიკულ ვაზების კულტურის სპეციალურად მცოდნე ბ-ნი სტროევი კავკასიაში გამოუგზავნია, რომ ადგილობრივის მეღვინეობის საქმე დაახლოვებით გაიცნოს.

⁂ იმ ხარჯში, რაც ბათუმის ოლქის ჰაობების დაშრობას დასჭირდება, აზრადა აქვთ სამხედრო უწყებასაც მიაღებინონ მონაწილეობა.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში საბრალმდებლო ოქმი იქმნა შეტანილი იმის შესახებ, რომ სამართალში იქმნენ მიცემულნი ტფილისის მეორე გილდის ვაჭარი კონსტანტინე ხოხობოვი, იმისი დედა ნინო ხოხობოვისა და ძმები ვასილი და ზაქარია ხოხობოვები, რომელთაც მევახშეობა ედებათ ბრალად.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის კონდუქტორებმა ოლიფანტი ზაქრაძემ და გიორგი ჯალაშვილმა ჯილდო მიიღეს პირველმა—10 მან. მეორემ—5 მან. ქურდის დაჭერისათვის, რომელსაც მეორე კლასის ვაგონიდგან სხვა-და-სხვა ნივთები მოეპარა და გაქცევას აპირებდა.

⁂ გუშინ, 25 ივლისს, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, რომ მტკვარში ყველგან არ გადააყრევინოს ხალხს სახლის ნაგავი და მხოლოდ შემდეგ ადგილებში მისცეს ნება ნაგავის გადაყრისა: მტკვრის მარჯვენა მხარეს. 1) ვერის ხიდის ჩასავალთან, 2) მუხრანიანთ ხიდთან, სადაც ბორანია, 3) მნაცაკონოვის ხიდთან; მარცხენა მხარეს—1) მე 2 გადასასვლელ ქუჩასთან, 2) ხოსროევისა და ზუბალოვის ქარვასლასთან, 3) გოგილოს აბანოს მახლობლად და 4) მადათოვის კუნძულის ჩრდილოეთის მხარეს მტკვრის დიდ ტოტში.

⁂ ტფილისში ხშირად ჰყიდიან ერთგვარ გასაგრილებელს სასმელს, ეგრედ წოდებულ „სპარსულ ლიმონადს". განსაკუთრებით ამ სასმელს დაბალი და ღარიბი ხალხი ეტანება ხოლმე. ეხლა, როგორც ტფილისის ქიმიურ-ლაბარატორიას გამოუკვლევია, ეს სასმელი მეტად მავნე და მაწყენარი თურმე ადამიანისათვის, რადგანაც შიგ სხვა-და-სხვა წამლებს ურევენ ფერის მისაცემად. გარდა ამისა, შაქრის მაგიერად გასატკბილებლად სახარინს ჰხმარობენ, რადგანაც ნაკლები უნდება და, მაშასადამე, სულ იაფად დაჯდება. სახარინი კი მავნებლად არის აღიარებული და მისი ხმარება სამინისტროსაგან აღკრძალულია გასასყიდად. საკვირველია, რომ მოვაჭრენი მაინც ადვილად ჰშოულობენ სხვა-და-სხვა აფთიაქში. ამას გარდა ხშირად თუთიის ჭურჭლით ატარებენ ხოლმე „სპარსულ ლიმონადს" და ისე ჰყიდიან. ქალაქის ქიმიურმა ლაბორატორიამ ყოველივე ეს სამკურნალო სასანიტარო საბჭოს შეატყობინა და სთხოვს აღკრძალოს „სპარსული ლიმონადის" ამ გვარად მომზადება და გაყიდვა. ყველაზედ მავნებელი ამ სასმელში ფერის მისაცემი წამლებია, რომელშიაც, ძლიან ხშირად დარიშხანა ურევია ხოლმე.

## ფელეტონი

—

### უცხოთა შორის

მოლუქის კუნძულების მცხოვრებთა პატივისცემა ქალებისადმი და ხელსახოცით ცემა.—ჩვენ როგორღა მოვიქცევოდით.—საფრანგეთის სკოლა როგორ ებრძვის ლოთობას.—ელექტრონის ქუდი და ფეხსაცმელი.—ქურდი-კომპოზიტორები და სტუდენტი-ქალნი—მანდილოსანნი. — ელექტრონის გუთანი და სამეურნეო მანქანა.—ედისონის ახალი მანქანა.—ავტოტელეგრაფი.

ეგრედ წოდებულ მოლუქის კუნძულებზედ სცხოვრობს ერთი ტომი, რომელიც ძლიერ დიდს პატივსა სცემს ქალებს. იქაური მღვდელი ქალ-ვაჟის შეუღლების დროს ასეთს დარიგებას უკითხავს თურმე: „არა მოჰკლა, ქმარო, ცოლი შენი და არცა დასჭრა არც შუბითა შენითა, არცა ხმლითა ბასრითა, არცა დაშნითა და არცა სხვა რამ მახვილითა. ხოლო თუ ცოლი შენი არ გემორჩილება და ურჩობითა თვისითა გაგარისხა შენ, გაიხმობდე განცალკევებულ ოთახსა შინა და დასჯიდე მას და სცემდე ხელსახოცითა მით შენითა".

კარგი და პატიოსანი... მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, გამოდგება თუ არა ჩვენშიაც ასეთი კანონი? არა, არ გამოდგება. ჯერ ერთი უამისოდაც მგონია 7,899,345,746,932 სხვა-და-სხვა მუხლი არის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის. ესენიც ვერ შეუსწავლიათ ვექილებს და აბა რაღა მიმატება უნდა! ვექილმა კიდევ შეიძლება არ იცოდეს მთელი კანონმდებლობა, ან დაავიწყდეს, მაგრამ ხალხმა რა ჰქმნას, როდესაც თვით კანონი ამბობს: კანონდებლობა ყველამ უნდა იცოდეს და თავს ვერავინ იმართლებს იმითი, რომ ესა და ეს კანონი არ ვიცოდიო. უკაცრავად... იმას მოგახსენებდით, ჩვენში ზემოხსენებული კანონი არ გამოდგება მეთქი. ჩვენ ხომ მოლუქის კუნძულის მცხოვრებლებს ვერ შევედრებით; ჩვენ განათლებული ხალხი ვართ, გვაქვს სასამართლო, გვყავს ვექილები და რა უშავს, რომ, თუ ცოლმა გამაჯავრა და ხელში ხელსახოცის მაგიერ კარგი ტილოს პირსახოცი შემხვდა, დავგრიხო იგი ლამაზად, გავაკეთო ლახტი და განცალკევებულსა ოთახსა მას შინა ვასწავლო ჭკუა ჩემს საყვარელსა, მაგრამ ურჩს ცოლს... ვითომ რა იქმნება? მე ვიცი, ვექილი ვერ დაამტკიცებს, რომ ხელსახოცსა და პირსახოცს შორის არაფერი განსხვავება არისო, მაშ რიღას ვექილი იქმნება!..

⁂

საფრანგეთის სკოლებმა ფიცხელი ომი გამოუცხადეს ლოთობას. სკოლაში კედლებზედ ჩამოკიდებულია სურათები, რომლებითაც ნათლადა სჩანს, რა ვნება მოაქვს არაყს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. დახატულია ჯან-მრთელის კაცის ნაწილები (კუჭი, ჯიგარი, გული, თირკმელა და ტვინი) და შემდეგ იქვეა დახატული ესევე ნაწილები, მხოლოდ ლოთობისაგან დაავადებული. მერე ნაჩვენებია ადამიანისთვის უვნებელი ბუნებრივი სასმელები და არაყზედ დაყენებული სხვა სასმელებიც. დახატულია აგრედვე ოთხი სურათი. ერთი წარმოადგენს—როგორ უფუჭდება ადამიანს არყის სმისაგან ხასიათი, ეკარგება სიმშვიდე და გულ-კეთილობა, ღირსება კაცურის კაცობისა და უჩლუნგდება გონება. სურათებს შემდეგი წარწერები აქვს: „ვინც ყოველ დღე დილით ერთს ჭიქას არაყსა სვამს—ლოთია"; შემცდარია, ვისაც ჰგონია—არაყი მადისათვის კარგიაო; არაყი მადას აფუჭებს". „არაყი ყველა საწამლავზედ უარესი და საშიში საწამლავია"; იცით, რასა სვამს ეს კაცი, რომელსაც აკანკალებულს ხელში ჭიქა უჭირავს? ისა სვამს ცრემლსა, სისხლსა და თვით სიცოცხლეს თვისის ცოლ-შვილისას". „ლოთობა კაცს შეაჯავრებს შრომასა და სიღარიბის კარზედ მიაგდებს".

ეჭვი არ არის, რომ ამ გვარი სურათები ახალგაზდობას უფრო ადვილად შეაჯავრებს ლოთობას, თუ მასწავლებელმაც თავისის მხრივ საკმაო უნარი გამოიჩინა.

⁂

ამერიკელები, საცა არა მგონია, ელექტრონის ძალას გამოატყვრენენ ხოლმე. აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ ეხლა ელექტრონის ქუდებს შემოიღებდნენ. ვიღაცა მეცნიერს ისეთი ქუდი გაუკეთებია, რომელშიაც თავის სითბოსაგან ელექტრონის ძალა მოქმედობს. ეს მეცნიერი ამტკიცებს, ქუდის ელექტრონის ძალა ძლიერ კარგა მოქმედობს კაცის ტვინზედ...

ისღა გვაკლია, რომ ელექტრონის მანქანა ფეხსაცმელში გაჰმართონ ისე, რომ ძილის დრო რომ მოვა, ადამიანს ფეხის გულები დაჰფხანოს. ვინ იცის, რას არ მოვესწრებით ეხლანდელს დროში..

⁂

ყველაფერში ყოჩაღები არიან ეს ამერიკელები, გარდა მუსიკისა. ერთს ამერიკელს გამოუკვლევია, რომ ამერიკელი კომპოზიტორები თვითონ-კი არა სწერენ და სთხზავენ თავიანთ სიმღერებს... არამედ იპარავენ სხვებისაგანაო. ეს ამბავი ვერაფრად ეპიტნავებათ ამერიკელებს, მაგრამ რას იზამ, რომ ამას თვით ამერიკელი აღიარებს გულ-ახდით. 25 გამოჩენილი კომპოზიტორი ჰყოლიათ ამერიკელებს, ზოგი მათგანი ძლიერ უყვარს მთელს ამერიკასა და თითქმის ხელით დაჰყავთ, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, ამ 25 კაცში ერთიც არა ყოფილა, რომ სხვისი გალობა ან კილო არ მოეპაროს და არ მიეთვისოს. სხვათა შორის აღმოჩნდა, რომ შესანიშნავი სიმღერა „Tarara boum de ay", რომელსაც ეხლა მთელი ევროპა მღერის და რომელიც ამერიკელებს ნაციონალურ სიმღერად მიაჩნიათ, 1854 წელს ერთმა ჯარის-კაცმა, შესთხზა ციხეში იმ დღეს, როდესაც გამოუცხადეს, სიკვდილით დაგსჯითო. ავტორმა ამ სიმღერას დაარქვა „გამოთხოვება სიცოცხლესთან". ერთს ვიღაცა ქურდს—კომპოზიტორს უპოვნია ეს სიმღერა, გადაუკეთებია „Tarara boum de ay"-ად და მიუთვისებია. ამერიკელებს ეს სიმღერა ძლიერ მოსწონებიათ. მალე ევროპაშიაც გადავიდა, მერე რუსეთში და ეხლა ქუჩაშიაც-კი ვინც არა მგონია მღერის „ტარარა ბუმბია"-ს. ასე თუ ისე ქურდმა-კომპოზიტორმა ამ სიმღერით მაინც სახელი მოიხვეჭა.

⁂

ამერიკაშივე, სახელდობრ ჩილის რესპუბლიკაში, უნივერსიტეტების სტუდენტი ქალები ზაფხულობით სხვა-და-სხვა ქალაქებში დადიან და თვისის კონცერტებით ატკბობენ ამერიკელებს. ეს ქალები მანდოლინაზედ უკრავენ. სტუდენტნი-ქალნი—მანდოლინოსანი არიან ვალპარაიზოსა, სანტიაგოსა და ჩილის სხვა ქალაქებშიაც. ზოგი სტუდენტი-ქალი—მანდოლინოსანი მარტო ამ კონ-

*** გაზ. „მშაკის“ სიტყვით, კავკასიის სამოსწავლო მთავრობას აზრადა აქვთ შუშის რეალური სასწავლებელი ალექსანდროპოლში გადაიტანოს. ამის მიზეზი ის არის, რომ შუშის მცხოვრებელთ თავიანთი დანაპირი პირნათლად არ აღასრულესო. წელიწადში სასწავლებლის სასარგებლოდ 10,000 მანეთი უნდა გადაეხადნათ, მაგრამ ყოველ წელიწადს სრულიად არ იხდიდნენ ამ ფულს და 20,000 მანეთი ძველი ვალი ეხლაც იმათზედ არის დარჩენილი.

*** სადგ. ბათუმი. 24 ივლისს, საღამოს 8 საათსა და 15 წამზედ, როდესაც საცდელად გამოყვანილი ორთქლ მავალი № 59 ქალაქისაკენ მიდიოდა, ლიანდაგზე გარდამავალს ეტლს დაეჯახა, დაამტვრია და მეეტლეც საშინლად დააშავა.

*** სადგ. ფოილო. 25 ივლისს, საღამოს 7 საათსა და 35 წამზედ, მე-336 ვერსზედ, მატარებელმა № 21 ლიანდაგზედ დაძინებულთ გზის ყარაულს ალავერდი ხოჯა-ოღლისა და მისს ცოლს თარა ალი-კიზის ზედ გადუარა. ყარაული ორთქლ-მავალმა სადგურზედ მიათრია, ხოლო ცოლი მერმე მიიყვანეს ხელ-თ საგორავ პატარა ვაგონით. ორივენი საშინლად არიან დაჩეჩქვილები და დამტვრეულები. ორთავ დაშავებულთ სადგურზედ დროებითი სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს და შემდეგ № 61 მატარებლით ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** სადგ. გერანი. 24 ივლისს, ღამის 12 საათსა და 50 წამზედ, როდესაც სახალხო მატარებელმა № 1-ლმა სადგური განვლო, ასე 12 საჟენის მოშორებით საქონლის მატარებლის № 62 კონდუქტორი ალექსანდრე ივანეს ძე ხორიკოვი ორთავ ფეხებ-წაწყვეტილი იპოვნეს. ხორიკოვისათვის სახალხო მატარებელს გადაევლო ზედ.

---

## სოფლების სამეურნეო თანხა და პურის ამბრები *)

### სიღნაღის მაზრაში

ქოდალოს ნაწილის კაკაბეთის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 346 კომლი და 2.265 სული მკვიდრი,—დაზოგილი აქვს მარცვლად 2.543 ფუთი და ფულად 6.960 მან. 40 კაპ.; ყანდაურის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 302 კომლი და 1.672 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.170 ფუთი და ფულად 5.373 მან. 62 კაპ.; ჯიმითის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 431 კომლი და 2.340 სული მკვიდრი, —მარცვლად 2.494 ფუთი და ფულად 5.145 მან. 56 კაპ.; მაღაროს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 428 კომლი და 2.188 სული მკვიდრი,—მარცვლად 2.330 ფუთი და ფულად 5.749 მან. 13 კაპ.; ზიარის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 244 კომლი და 1.618 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.109 ფუთი და ფულად 2.011 მან. 74 კაპ.; შიბლიანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 97 კომლი და 627 სული მკვიდრი,—მარცვლად 508 ფუთი და ფულად 1.496 მან. 57 კაპ.; ჩალაუბნის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 145 კომლი და 776 სული მკვიდრი,—მარცვლად 573 ფუთი და ფულად 1.373 მან. 36 კაპ.; ჰერემის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 146 კომლი და 1.112 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.097 ფუთი და ფულად 2.573 მან. 37 კაპ.; ბოდბეს საზოგადოებას, რომელშიაც 4 სოფელია, 928 კომლი და 5.061 სული მკვიდრი,—მარცვლად 5.391 ფუთი და ფულად 11.509 მან. 37 კაპ.; ნოვოალექსანდროვსკის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 94 კომლი და 484 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.126 ფუთი და ფულად 1.333 მან. 90 კაპ.; ფხოველის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 133 კომლი და 749 სული მკვიდრი,—მარცვლად 319 ფუთი და ფულად 1.023 მან. 7 კაპ.; ქოდალოს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 184 კომლი და 980 სული მკვიდრი,—მარცვლად 908 ფუთი და ფულად 1.721 მან. 50 კაპ.; ჩაილურის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 84 კომლი და 553 სული მკვიდრი,—მარცვლად 528 ფუთი და ფულად 1.463 მან. 72 კაპ. და მელაანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 153 კომლი და 785 სული მკვიდრი,—მარცვლად 723 ფუთი და ფულად 1.544 მან. 27 კაპ.

ბაკურციხის ნაწილის მუკუზანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 84 კომლი და 145 სული მკვიდრი, —დაზოგილი აქვს მარცვლად 144 ფუთი და ფულად 1.096 მან. 42 კაპ.; ახაშენის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 251 კომლი და 1.529 სული მკვიდრი,—მარცვლად 843 ფუთი და ფულად 3.457 მან. 16 კაპ.; ველისციხის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 582 კომლი და 2.927 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.754 ფუთი და ფულად 5.354 მან. 35 კაპ.; ჩუმლაყის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 186 კომლი და 1.195 სული მკვიდრი,—მარცვლად 626 ფუთი და ფულად 3.465 მან. 25 კაპ.; ბაკურციხის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 250 კომლი და 1.152 სული მკვიდრი, — მარცვლად 66 ფუთი და ფულად 1.671 მან. 15 კაპ.; ვეჯინის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 422 კომლი და 2.091 სული მკვიდრი,—მარცვლად 773 ფუთი და ფულად 1.901 მან. 14 კაპ.; გურჯაანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 549 კომლი და 3.144 სული მკვიდრი, —მარცვლად 836 ფუთი და ფულად 2.617 მან. 10 კაპ.; კოლაკის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 127 კომლი და 581 სული მკვიდრი,—მარცვლად 163 ფუთი და ფულად 1.014 მან. 40 კაპ.; კარდანახის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 731 კომლი და 3.342 სული მკვიდრი,— ფულად 3.331 მან. 6 კაპ.; ლაგოდეხის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 45 კომლი და 180 სული მკვიდრი,—მარცვლად 24 ფუთი და ფულად 143 მან. 4 კაპ. და ნოვომიხაილოვსკოეს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 35 კომლი და 140 სული მკვიდრი, —ფულად 205 მან. 86 კაპ.

ქვემო მაჩხაანის ნაწილის ანაგას საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 700 კომლი და 3.443 სული მკვიდრი, დაზოგილი აქვს მარცვლად 1101 ფუთი და ფულად 9. 747 მან. 7 კაპ.; ვაქირის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 759 კომლი და 4.173 სული მკვიდრი მარცვლად 1265 ფუთი და ფულად 8.824 მან. 45 კაპ.; მაშნაარის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 196 კომლი და 1.025 სული მკვიდრი,—მარცვლად 285 ფუთი და ფულად 2.473 მან. 91 კოპ.; საქობოს საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 933 კომლი და 4.632 სული მკვიდრი,—მარცვლად 1056 ფუთი და ფულად 10.189 მან. 40 კაპ.; ბოდბისხევის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 817 კომლი და 4.539 სული მკვიდრი,—მარცვლად 4.510 ფუთი და ფულად 8.731 მ. 96 კაპ.; ჯუგაანის საზოგადოებას, რომელშიაც 5 სოფელია, 1.004 კომლი და 5.453 სული მკვიდრი, —მარცვლად 4.663 ფუთი და ფულად 12,824 მან. 98 კაპ.; მირზაანის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 701 კომლი და 3.865 სული მკვიდრი,—მარცვლად 4.371 და ფულად 9.216 მან. 61 კაპ.; ზემო-მაჩხაანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 652 კომლი და 3.930 სული მკვიდრი,—მარცვლად 3.949 ფუთი და ფულად 8.303 მან. 99 კაპ.; ქვემო-მაჩხაანის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 551 კომლი და 2.755 სული მკვიდრი,—მარცვლად 4.467 ფუთი და ფულად 7.994 მან. 32 კაპ.

შირაქის ნაწილის იმ თუქურმიშას საზოგადოებას, სადაც სამსახურს გარეშე მყოფნი ჯარის-კაცნი ასახლიან,—რომელშიაც 1 სოფელია, 90 კომლი და 360 სული მკვიდრი, დაზოგილი აქვს ფულად 276 მან. 67 კაპ.; თუქურმიშას (გლეხებით დასახლებულს) საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 130 კომლი და 821 სული მკვიდრი,—მარცვლად 395 ფუთი და ფულად 1.589 მან. 21 კაპ.*); უსუფლის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 30 კომლი და 130 სული მკვიდრი,—ფულად 149 მან. 17 კაპ.; ახანატლუკენდის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 89 კომლი და 432 სული მკვიდრი,—ფულად 362 მან. 37 კაპ. და კენლიკენდის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 118 კომლი და 655 სული მკვიდრი,—ფულად 600 მან. 61 კაპ. **).

---

*) იხ. „ივერია“ ამა წლისა № 139, 144, 145, 146, 147 და 150.

*) თუქურმიშას საზოგადოებამ 1895 წ. შეიძინა სალეწი მაშინა, რისთვისაც ამ საზოგადოების სამეურნეო თანხიდგან მიეცა 212 მ. 31 კაპ.

**) მთლად სიღნაღის მაზრას სამეურნეო თანხა აქვს მარცვლად 53.030 ფუთი და

---

ცერტებითა შოულობს ცხოვრებისა და სწავლის სახსარს. ძლიერ განთქმულნი არიან მანდოლინაზედ საუცხოვო დაკვრით ვალპარაიზოს უნივერსიტეტის სტუდენტი-ქალები, რომლებიც თურმე ამასთანავე ძლიერ ლამაზები არიან. სამწუხაროდ ჩვენს სახელოვანს ანტრეპრენერს ფორკატის, ეტყობა, არა სცოდნია ამ მანდოლინოსან ქალთა ამბავი, თორემ რას არ მოიყვანდა ტფილისში საზაფხულოდ. მგონია, არც ჩვენი კოტე იტყვის უარს იმათ ჩამოყვანაზედ, მაგრამ ვაი თუ არ წამოვიდნენ?

***

საზოგადოდ ელექტრონის ძალა მთელს ქვეყანას მოედო, ბოლოს იქაც გამოიყვანეს ეს ძალა, სადაც უფრო საჭირო იყო მისი მადლი, ე. ი. მეურნეობაში. ამას წინად ბერლინის ახლოს გამოსცადეს გუთანი, რომელიც ელექტრონის ძალითა ჰხნავს თურმე. ტენფელსგოფის ელექტრონის ქარხნების უფროსმა ამასთანავე წაიკითხა ლექცია შესახებ იმისა, როგორ შეიძლება ელექტრონის ძალით სახლის განათება, საჭმელის მოხარშვა, ხვნა, ლეწვა და დაფქვა პურისა. ელექტრონის მანქანით პროფესორმა გალეწა მთელი ურემი შვრია და დაფქვა კიდეც. სულ დაიხარჯა ამ საქმეზედ 27 კაპ. შემდეგ იმავე პროფესორმა უჩვენა იქ მყოფ ხალხს მრავალი მანქანა, საჭმელის მოსახარში და შესაწვავი და აქვე შესწვა სამი კატლეტი, მოხარშა ხუთი კვერცხი და აადუღა წყალი. პროფესორმა თან დასძინა, რომ ამაზედ მხოლოდ კაპეიკის $^1/_5$ დაიხარჯაო.

***

უფრო საკვირველია ახალი გამოგონება ჩვენის დროის თვალთ-მაქცის ედისონისა. ედისონს ისეთი მანქანა შემოუღია, რომლის ძალითაც შეიძლება სურათის გადაღება სიშორეზედ. მაგალითად, მხატვარმა სურათი დაჰხატა პეტერბურგში და გვინდა იმავე დღეს ვნახოთ ეს სურათი. ჩვენს სურვილს დეპეშით ვატყობინებთ მხატვარს, მოვა ტელეგრაფის სადგურზედ, შემოახვევს სურათს საგანგებოდ ამისთვის გაკეთებულს რგვალ ხეს, დააჭერს თითს ელექტრონის მანქანის ღილსა და სურათი იმ წამსვე დაიბეჭდება ტფილისში. ეს ახალი გამოგონება რომ ძლიერ ბევრს საქმეშია გამოსადეგი, მკითხველი თითონაც კარგად მიხვდება. ვსთქვათ სხვის ფულის მოყვარულმა კაცმა ტფილისში ფული აწაპნა და ბათუმში გაჰქუსლა, თუ უკან გამოუდგნენ, მალეც მოეწევიან. მაგრამ თუ იმისი სურათი ხელთა აქვს პოლიციას, იმ წამსვე ტელეგრაფის შემწეობით გადასცემს ამ სურათს ბათომის პოლიციას და აბა სადღა წაუვათ ხელიდგან.

***

ელექტროფტალმა-ციკლოპიც მოიგონეს. ეს რაღა ხილია იკითხავთ. დიდი არაფერი, თვალი გახლავთ ელექტრონისა. ერთი ეს მიბრძანეთ, მარტო წარმოდგენა-კი შეგიძლიანთ იმისა, რომ ბრმას თვალი აეხილოს და უსინათლომ სინათლე დაინახოს. ყოვლად შეუძლებელიაო, იტყვით, მაგრამ სჩანს მეცნიერებისათვის შეუძლებელი არა ყოფილა. რის წარმოდგენაც-კი არ შეგვიძლიან დღეს, ხვალ ჩვენის თვალითა ვხედავთ და ჩვენის ყურით გვესმის. ერთმა მეცნიერმა მთელი სიცოცხლე შეალია იმას, რომ ბრმას როგორმე თვალი ავუხილოვო. თვალი-კი, რა თქმა უნდა, ვერ აუხილა ვერავის, მაგრამ ის-კი გამოიკვლია, რომ ბრმა ადამიანის თვალის ნერვები შუბლზედ ადვილადა ჰგრძნობენ სინათლესა და სიბნელეს. რაკი ამას მიაგნო მეცნიერმა, დარწმუნდა, რომ სულ პაწაწინა თვალის ოდენა მსგავსი მანქანა ფოტოგრაფიისა ყოველს საგანს გადიდებს და ეს პაწია მანქანა ბრმამ რომ შუბლზედ მიიდვას, ყველაფერს დაინახავსო. ასეთს თვალს ამ ჟამად ბელგიაში აკეთებს ერთი ქარხანა და ძლიერ მალე გავიგებთ კიდეც, როგორი გამოდგება.

ამის შემდეგ არც ის გამიკვირდება, უმადურს კაცს რომ ისეთი მანქანა გაუკეთონ, რომლის შემწეობითაც შეეძლოს სიკეთის დანახვა. ვსთქვათ, სიკეთე უყავით ვისმე, მაგრამ იცით იმის პატიოსნების ამბავი, რომ სიკეთეს არ დაინახავს და უმადური დაგრჩებათ. აი, ამ შემთხვევაშია კარგი სიკეთის დანახვის მანქანა. მადლს მარილსაც მოაყრით და იმ სიკეთესთან ერთად, რომელსაც ადამიანს უზამთ, ამ სიკეთის დანახვის თვალსაც თან გააყოლებთ. ეს მანქანა ძლიერ სასარგებლო იქმნება, თორემ კარგად მოგეხსენებათ ეხლანდელს დროში სიკეთის დანახვა არავინ იცის. შეიძლება ისეთი თვალიც გაკეთდეს, რომ კაცმა კარგი და ავი გაარჩიოს, ბოროტს კაცს არ ენდოს და კეთილს სამარე არ გაუთხაროს. ურიგო არ იქმნება, რომ ისეთი მანქანაც გაკეთდეს, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყოს კაცმა თავი მოაწონოს თავისს უფროსს, თორემ ეხლანდელს დროში ეს მეტად ძნელია. საჭიროა ამისათვის კაცმა თვისი უფროსი პირში აქოს და ადიდოს და ზურგს უკან სძრახოს, საჭიროა პირფერობა გასწიოს და ვინიცის კიდევ, რამდენი ხრიკია საჭირო, რომ უფროსმა წყალობის თვალით გადმოგხედოს. ბევრმა კაცმა არ იცის ეს ხრიკები, არცა აქვს ამის ნიჭი და უნარი და ამიტომ რაც უნდა გამოსადეგი იყოს უფროსისათვის, მაინც იმის გულს ვერ მოიგებს. აი სწორედ ასეთის კაცისათვის იქმნება საჭირო გულის მოსაგები მანქანა...

***

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ბევრნი სცდილობენ, ისეთი თოფზარბაზნები გავმართოთ, რაც შეიძლება მეტი ხალხი დავხოცოთო. ზოგიც იმას ფიქრობს, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მტერმა ვერაფერი დაგვაკლოსო. ამით აიხსნება, რომ ამ ჟამად ზარბაზანი და ფარი ერთმანეთს ებრძვიან. ერთმა ინჟინერმა ისეთი ფარი გააკეთა, რომ ზარბაზნის ტყვია ვერაფერს აკლებდა. ახლა მეორემ ისეთი ზარბაზანი გააკეთა, რომ ეს ფარი ორად გააპო. მესამემ კვლავ გააკეთა ფარი, რომელმაც ამ ზარბაზანს აჯობა. ინჟინერებმა მაინც იმედი არ დაჰკარგეს და ახლა ისეთს ზარბაზანს აკეთებენ, რომ ეს ფარიც გახვრიტოს. ვინ იცის, როდის მოეღება ბოლო ასეთს ცილაობასა და მეტოქეობას ფარისა და ზარბაზნის შორის.

ერთი კეთილი კაციც აღმოჩნდა, რომელსაც ჰსურს თურმე ქაღალდის გული შემოიღოს თოფ ზარბაზნისათვის. ამ ქაღალდის გულას გარშემო ალიუმინი (ძლიერ სუბუქი ლითონია) ექმნება შემოხვეული. ამ გამოგონების სიკეთე ის იქმნება, რომ თუმცა ბრძოლის დროს იმდენივე კაცი დაიჭრება, რამდენიც ეხლა, მაგრამ უფრო ნაკლები დაიხოცება, რადგანაც ქაღალდის გულა ნაკლებად დასჭრის კაცს სასიკვდილოდ და დაჭრილი კაცი არც ისე დიდს ტანჯვას გამოივლის.

ა. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი ქუთაისიდგან

სამრევლო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება.

1895 წელს იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს თავჯდომარის დეკანოზ გაბრიელ ცაგარეიშვილის თაოსნობით პირველად გაიმართა ქ. ქუთაისში ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება. ეს კრება, თუმცა ხანგრძლივი არ იყო, მაგრამ მაინც შესაფერი გავლენა და ნაყოფი მოიტანა, მით უმეტეს, რომ თვით სასულიერო მთავრობაც დაარწმუნა, რომ სამრევლო სკოლების საქმეების რიგიანად წასამართავად აუცილებლად საჭიროა მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსების გამართვაო. ამ აზრით განმსჭვალულმა იმერეთის სამრევლო სკოლების მეთვალყურემ მღ. მელიტონ კელენჯერიძემ წელს შეიმუშავა ვრცელი პროგრამა მასწავლებელთა კრებისა და უმაღლესის სასულიერო მთავრობის წინაშე ითხოვა, რომ ნება დაერთოთ ამ ზაფხულს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება გაემართა ქ. ქუთაისში. უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ ამ კეთილს განზრახვას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, ნება დართო და იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრებას გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრებაც შემოუერთა ასე, რომ დღეს იმერეთის დედა ქალაქში მთელი დასავლეთის საქართველოს სამრევლო და ბევრი საეროც (თავისის სურვილით) სკოლების მასწავლებლები არიან შეკრებილნი ამ ძნელისა და რთულის მოვალეობის გასაუმჯობესებლად, როგორიც არის მასწავლებლის მოვალეობა.

მასწავლებელთა კრება დაიწყო ამ ივლისის პირველს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარის დეკანოზ გაბრიელ ცაგარეიშვილისა, იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურის მღ. მელიტონ კელენჯერიძისა, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურის ბ-ნი ყორდანიასა და სხვა მრავალთა თანდასწრებით. დეკანოზმა გ. ცაგარეიშვილმა, პარაკლისის გადახდის შემდეგ, გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და ნათლად დაუხატა მსმენელთ საზოგადოდ მასწავლებელთა კრების მნიშვნელობა და კერძოდ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა, რომელთა უნუგეშო მდგომარეობას დღეს მთავრობის მხრივ ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული.

სწორედ სასიამოვნო სანახავია დღეს ქ. ქუთაისში მასწავლებელთა კრება. ორასი კაცი ერთსა და იმავე საგანზედ სჯის, ჰბაასობს და ეგდით მოფენილს ცხოვრების გზაზედ შეხვედრილს ჭირსა და ლხინს უზიარებენ ერთი ერთმანეთს.

დილის 7 საათზედ მასწავლებლები მიდიან საზოგადო ლოცვაზედ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში. უმეტეს ნაწილად ლოცვის დროს მასწავლებლებივე ჰგალობენ. ლოცვის შემდეგ მასწავლებლები იკრიბებიან სასულიერო სასწავლებლის ერთს დიდს ოთახში, სადაც მათ გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ნი ყორდანია უკითხავს ზეპირად ყველა საგნის მეთოდიკას, აღზრდის თეორიას და ამასთანავე განუმარტავს დიდაქტიურ კანონებს. ამ საგნებს პატივცემული ლექტორი ტფილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა და ისე კარგად შეუთვისებია მასწავლებლის მოვალეობა პრაქტიკულად, რომ ეხლანდელის სოფლის მასწავლებლის ტიპი სამაგალითოდ დასახსიათა და დაუსურათა მსმენელთ. მასწავლებლები დიდის მოწიწებით და ყურადღებით უსმენენ ბ-ნ ყორდანიას, რომელიც, როგორც სჩანს, მზად არის ყოველივე მალ-ღონე იხმაროს მასწავლებელთა განსავითარებლად და სამრევლო სკოლების გასაუმჯობესებლად.

მეორე გაკვეთილი დათმობილი აქვს ქართულ საეკკლესიო გალობას; ამ გაკვეთილზედ მასწავლებლები ორად არიან გაყოფილნი. იმერლებთან მეცადინეობს მთავარ დიაკვანი რაჟდენ ხუნდაძე და გურულებსა და მეგრელებთან ბ-ნი ჭკადუანიძე. ორივენი ერთგულად ეკიდებიან თავისს საქმეს. სწორედ სასიამოვნო სანახავია, როდესაც ხანში შესული ბ-ნი ჭკადუანიძე მკვლევრს ქართულს გალობას თავისის ზუნების მეთოდით ასწავლის მასწავლებლებს. მესამე გაკვეთილი დათმობილი აქვს სამაგალითო გაკვეთილებს, რომლისთვისაც მოწვეულნი არიან ბ-ნი ხმალაძე, მკურნალი და მიქაძე. ეს მასწავლებლები რიგ-რიგობით აძლევენ სამაგალითო გაკვეთილებს რუსულისა და ქართულის ენისას და არითმეტიკისას, საღმრთო სჯულის სამაგალითო გაკვეთილებს-კი აძლევენ ალისუბნის მეორე კლასიანი სამრევლო სკოლის მმართველი მღ. მ. ბუ—ძე და ბ-ნი მატარაძე. სამაგალითო გაკვეთილების უმთავრესი საგანი ის არის, თუ სამს განყოფილებასთან ერთსა და იმავე დროს როგორ უნდა იმეცადინოს მასწავლებელმა, რომ სასურველი ნაყოფი მოიტანოს. ამ გაკვეთილების გარჩევა ჩვენდა სამწუხაროდ, არ არის კრებაზედ მიღებული, რაც ჩემის აზრით, ერთს დიდს ნაკლს შეადგენს კრებისას. ვსთქვათ, ერთი მასწავლებელი ხმოვან მეთოდს ხმარობს ანბანის სწავლების დროს, მეორე-კი სილაბიურს მეთოდს; აქ საჭიროა მისი დამტკიცება და ჩვენება, თუ რა უპირატესობა აქვს პირველს მეთოდს მეორეზედ და რა ნაკლი აქვს მეორეს პირველთან შედარებით.

საზოგადოდ-კი სამაგალითო გაკვეთილების შესახებ შემდეგი უნდა ვსთქვათ: ბ-ნმა მკურნალმა სამაგალითო გაკვეთილების მიცემის დროს თავისის მუნჯურის მეთოდის ხმარებით, მიუხედავად იმისა, რომ მის გაკვეთილებს ბევრი მისახაძავი ღირსება აქვს, ბევრად ვერ დაიმსახურა მასწავლებლების ყურადღება. როგორც ეტყობა, მაინც-და-მაინც ჰსურს, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებლებმაც ამ მეთოდით ასწავლონ რუსული ენა და ამნაირად გააძლიერონ დამღუპველი ცეცხლის ნაპერწკალი ჩვენს სკოლებშიაც. 1895 წელშიაც იყო ბ-ნი მკურნალი მოწოდებული სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრებაზედ და როდესაც მან ამ მეთოდით რუსულის ენის გაკვეთილი მისცა, არასის არ ეპიტნავა და იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარე დეკანოზი ცაგარეიშვილი იმის გაკვეთილის გარჩევაში არ შეიდა (იმ კრებაზე სამაგალითო გაკვეთილები ირჩეოდა), შენიშნა მხოლოდ, რომ ეს მეთოდი ჯერ ხმარებაში არსად არისო. ამის შემდეგ ძალიან მიკვირს, ბ-ნმა მკურნალმა, რომელიც კარგი გამოცდილი მასწავლებელია, თავისი უკარგისი მუნჯური მეთოდი რად განიმეორა!!. ბ-ნ ხმალაძის გაკვეთილი ღირსია მიბაძვისა. ორს ივლისს, იმის გაკვეთილს დაესწრო საქართველოს ეკსარხოსი ვლადიმერი, რომელმაც მისის გაკვეთილის მოწონება ინება. ბ-ნ მიქაძის გაკვეთილებს, ბევრს სხვა ნაკლთან, სიცოცხლეც აკლიათ; ერთს განყოფილებასთან ნაყოფიერად შეუძლიან მეცადინეობა და სამის განყოფილებისა-კი რა მოგახსენოთ. მეოთხე გაკვეთილი დათმობილი აქვს რუსულის საეკკლესიო გალობას, რომელსაც ასწავლიან ბ-ნი მაღრაძე და შარაბიძე. ამის შემდეგ მასწავლებლები ოთხის საათის შესრულებამდის თავისუფალნი არიან.

ნაშუადღევის ოთხის საათიდგან შვიდ საათამდის, ე. ი. სამის საათის განმავლობაში მასწავლებლები თავს იყრიან ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის ბაღში, სადაც ისინი სწავლობენ თეორიულად და პრაქტიკულად მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, მებოსტნეობასა და მებაღეობას.

ამ საგნებს ასწავლიან სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებლები: ბ-ნნი მკურნალი, შარაშიძე, ჩიხლაძე და კრონინი. როდესაც მასწავლებელთა ერთი ნაწილი მეაბრეშუმეობას სწავლობს, იმავე დროს მეორე ნაწილი მეფუტკრეობას სწავლობს და სხვა და-სხვას. კურსების ასე განაწილება მეტად სასარგებლო და საინტერესოა, ამისათვის როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლენიც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევენ ამ განყოფილებას. გურია სამეგრელოს სკოლების მასწავლებლები მაინც გატაცებულნი არიან მეაბრეშუმეობის ლექციებით. ეს რომ ჰარშან მცოდნოდაო, ამბობენ, რამდენიმე თუმნის აბრეშუმი ტყუილ-უბრალოდ არ დამეკარგებოდა ჩარჩების მოხებითო. ჯერჯერობით დადასტურებით არ შეიძლება ითქვას, თუ რა ღონივრულს ძალას შესძენს მასწავლებლებს ეს კრება და ამ თვის დამლევს-კი, როდესაც მასწავლებლებს ანგარიშს მოსთხოვენ და გამოსცდიან, მაშინ აშკარად დავინახავთ, ვინ რა სწავლა შეიძინა ამა თუ იმ საგნისა.

მ. ბუაჩიძე

## რუსეთი

—

როგორც სამხრეთ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, მთავრობას განზრახვა თურმე აქვს ოდესსა, კიშინევი და ხერსონი ტელეფონით იქმნას შეერთებულნი.

— ს. პეტერბურგის ფარმაცევტთა საზოგადოება ამ ჟამად იმის ცდაშია, რომ რძის სტერილიზაცია (დაწმენდა და სხვა-და-სხვა სენისაგან უზრუნველ-ყოფა) შემოიღოს იმავე რიგად, როგორც საფრანგეთშია შემოღებული. რძის ამ გვარად დაწმენდას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებლივ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს საქონლის რძითა ჰზრდიან.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეგეტარიანოსთა (ერთგვარის მოძღვრების მიმდევარნი არიან, საჭმელად იგინი ხორცეულს არა ჰხმარობენ) კლუბის წესდება წარუდგინეს დასამტკიცებლად. კლუბს განზრახვა აქვს ორი სასადილო გამართოს პეტერბურგის შუაგულ ადგილას.

— შინა ხელოსანთა სამრეწველო გამოფენა 15 აგვისტოს დაიწყება ქ. ტულაში და 15 სექტემბრამდე გასტანს. გამოფენაზედ მიიღებენ როგორც შინა ხელოსანთა, ისე ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოებს, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს ამ ხელოსანთა ნაწარმოებთან. გამოფენას 15 განყოფილება ექნება.

— მოსკოვში მცხოვრები ფრანგები ფულს აგროვებენ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს ფორს საჩუქარი მიართვან.

— სახელმწიფო ბანკის ს.-პეტერბურგის კანტორაში ცალკე განყოფილება იქმნება დაარსებული, სადაც მხოლოდ ქალები იმსახურებენ. ეს სპეციალური განყოფილება შესანახად მიბარებულ ფულის განყოფილებ სთან იქმნება გამართული. განყოფილების გამგედაც ქალივე იქმნება. განყოფილებაში სულ 18 ქალი იქმნება. ამათი სამუშაო მხოლოდ ის იქმნება, რომ სარგებლიან ქაღალდების კუპონებს მოსჭრიან. ხსენებულს განყოფილებაში მუშაობა 1-ლს სექტემბერს დაიწყება.

— ექიმს ი. ვ. მიხაილოვს ნებართვა მოუვიდა, რომ მოსკოვში ყოველთვიური „სამკურნალო მაჩვენებელი“ გამოსცეს. მაჩვენებელში სამკურნალო და საფარმაცევრტო მეცნიერების ცნობები დაიბეჭდება.

— ექიმთა საერთაშორისო მე-XII კრების აღმასრულებელს კომიტეტს ამ ჟამად 4,000 რკინის გზის უფასო ბილეთი უკვე გაუგზავნია კრების წევრთათვის. წევრთა რიცხვი 5,000 მდეა; ამათ შორის რუსი 2,400 კაცია, გერმანელი — 800 კაცი, ავსტრო-უნგრელი - 600 მდე, ფრანგი — 500 კაცი, ინგლისელი და იტალიელი — 250-მდე და დანარჩენ სახელმწიფოთა წარმომადგენელი — 100 კაცი.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი სასოფლო სამეურნეო გამოფენათა გამართვის შესახებ ამ შემოდგომაზედ წარედგინება საკანონმდებლო მთავრობას დასამტკიცებლად.

— საერო განათლების მინისტრმა დაადგინა, რომ სამინისტროს აცნობონ ხოლმე უთუოდ, როდესაც პირველ-დაწყებითს სკოლებში მასწავლებლობის კანდიდატობაზედ უცხოელს ნიშნავენ.

— რკინის გზათა დეპარტამენტთან საგანგებო კომისია შესდგება სახელმწიფო რკინის გზათა ადგილობრივ და ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან, რომ რუსეთის ყველა სადგურისათვის ანგარიშების წარმოების წესი და რიგი ერთი და იგივე იყოს.

— რკინის გზათა საკომერციო სამსახურის უფროსთა მე-IV კრების მეორე სხდომა 16 აგვისტოსათვის არის დანიშნული რკინის გზათა დეპარტამენტთან. ამ სხდომაზედ განხილულ იქმნება, თუ საქონლის მისაღებ და გასაგზავნ კანტორებში, სამგზავრო კასსებსა და გადასაცემ სადგურებზედ რამდენი მსახური უნდა იყოს და რა ჯამაგირი უნდა დაენიშნოთ, რასაკვირველია, გასაგზავნ-გამოსაგზავნ საქონლის რაოდენობის მიხედვით.

## უცხოეთი

—

**ოსმალეთ-საბერძნეთის-ზავი.** ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ზავის შესახებ მოლაპარაკება თითქმის დასრულდა, ეხლა მხოლოდ ლაპარაკი იმაზედაა: როგორ გაისტუმრებს საბერძნეთი სამხედრო ჯილდოს, რამდენი ხანი მოუნდება იმის გასტუმრებას და, თუ ეხლავე ვერ შესძლო ჯილდოს გადახდა, რით დააკმაყოფილებს ოსმალეთს, რომ იგი ფულის სრულად მიღებამდე დაწყნარებული და დამშვიდებული იყოს. როგორც უკანასკნელად მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, თითქმის ყველა ელჩები ამ საგნის შესახებ იმ აზრს ადგანან, რომ საბერძნეთმა ამ თავითვე და ამასთანავე სრულიად უნდა გაისტუმროს სამხედრო ჯილდო. ოსმალეთი მაშინ დაკმაყოფილებული იქმნება და იძულებული გახდება ხმის ამოუღებლივ გაიწვიოს ჯარი და სრულიად განათავისუფლოს თესალიაო. მაგრამ საბერძნეთს ეხლა ფული სრულიად არა აქვს, ამიტომ ნება-უნებურად უნდა მიჰმართოს რომელსამე საფინანსო დაწესებულებას და იმისაგან ისესხოს საჭირო თანხა. რადგანაც საბერძნეთს კარგს პირობებზედ ფულს არავინ ასესხებს და ყველანი დიდს სარგებელს მოსთხოვენ, იგი მხოლოდ ამ სარგებლის გასტუმრებას მოუნდება და სხვა ვალი ჯერ-ჯერობით დარჩება. წინანდელი ვალი-კი უმეტეს ნაწილად საბერძნეთს გერმანიისაგანა აქვს აღებული, ამიტომ გერმანიის ელჩმა წინააღმდეგობა განაცხადა სამხედრო ჯილდოს ერთხანად გასტუმრების შესახებ და წინადადება შეიტანა, რომ ეს ჯილდო ნაწილ-ნაწილ იქმნას გარდახდილიო. ელჩებმა არ შეიწყნარეს ეს წინადადება, რადგანაც ამ შემთხვევაში ვალის გასტუმრებამდის თესალია ოსმალეთს უნდა ეჭიროს, და ამ გარემოებამ კი რაიმე უთანხმოება და შეიძლება ხელ-ახალი შეტაკებაც კი გამოიწვიოს. ყველა ამის გამო ერთად ერთი ხსნა ის არის, რომ საბერძნეთმა სესხი ევროპის სახელმწიფოთა თავდებობით აიღოს და თავისის ფინანსების კანტროლობა მათ წარმომადგენელთ მიანდოს. ამ შემთხვევაში წინანდელ მოვალეებსაც შიში აღარაფრისა ექმნებათო, ამბობენ გაზეთები, და ახლებიც დაკმაყოფილებულნი იქმნებიანო.

—

**ინგლისი.** ყველას მოეხსენება, რომ ინგლისი ზღვაზე ძლიერი და თითქმის დაუმარცხებელი სახელმწიფოა. იმის ფლოტს არც ერთი სახელმწიფოს ფლოტი არ შეედრება. ომი რომ მოხდეს, ინგლისის ფლოტი არამც თუ ცალკე სახელმწიფოს, ევროპის სახელმწიფოთა შეერთებულ ფლოტსაც კი გაუმაგრდება. ამისდა მიუხედავად ინგლისი მაინც არა სცხრება და თვისს ფლოტს დღითი დღე აძლიერებს. ამ რამდენისამე დღის წინად ქვედა პალატაში აღძრული იყო საგანი ფლოტის გაძლიერების შესახებ. ლორდ გოშენმა განაცხადა, რომ ამ საქმისათვის ხაზინამ 500,000 გირვანქა დოლლარი უნდა გადასდოსო. იმისის სიტყვით, სხვა სახელმწიფოებიც შეუდგნენ ფლოტის გაძლიერების საქმეს და ამიტომ ჩვენც

---

ფულად 154,820 მან. 29 კაპ. ამას გარდა ნაყიდია ორი მომგებიანი ბილეთი სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა საკუთრებად, რაზედაც დახარჯულია 500 მან. ერთი ბილეთია პირველი შინაგანის სესხისა № 13 სერია 11067 და მეორე—მეორე შინაგანის სესხისა № 9 სერია 11872.

არ უნდა ჩამოვრჩეთ იმათაო. პალატამ, რასაკვირველია, შეიწყნარა გოშენის წინადადება და გადასდო 500,000 გირვანქა დოლლარი.

## დამაკვირდი

მხოლოდ იგია თავისუფალი, ვინც ბატონია თავისა თვისისა.

ბერძნ.

***

ხასიათი ცხოვრების ბედსა და უბედობასა, ბრძოლასა, მარცხსა და გამარჯვებაში იჭედება.

რანკე

***

ადამიანს უფრო ის უხდება, რაც იმის ბუნებას შეეფერება.

ციცერ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ნიუ-იორკის გაზეთები ამბობენ, ამერიკელ ინჟენერს რიჩარდ პლენტონს გამოუგონია ისეთი გემი, რომელიც ამერიკიდგან ევროპაში მისვლას სულ სამს დღეს მოუნდება. ამ ინჟინერს გამოუანგარიშნია, რომ ეს გემი საათში $69^1/_2$ ვერსს გაივლისო. შეერთებულ შტატების ქალაქ როვიდენციაში უკვე აკეთებენ თურმე გემს პლენტონის მიერ შედგენილ გეგმის მიხედვით. გემი გარეგნობით არაფრით განირჩევი სხვა გემებისაგან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთის ვინტის მაგიერ თოთხმეტი ვინტი ექმნება, რვა ვინტი წინა და ექვსიც უკან. გემი ელექტრონის ძალით ივლის. თითო ვინტს თავისი მანქანა ექმნება ელექტრონისა. ამ გვარად, ერთი ვინტი რომ გატყდეს, სხვები მაინც იმუშავებენ.

***

ამ ჟამად ხელ-მეორედ გამოჩნდა ერთხელ დაღუპული კუნძული ფალკონი. ინგლისის გაზეთებში ამ კუნძულის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი. 1881 წელს ტონგის არქიპელაგში უეცრად გამოჩნდა ერთი კუნძული, რომელსაც სახელად ფალკონი დაარქვეს. თხუთმეტის წლის განმავლობაში სამს სახელმწიფოს დიდი ცილობა ჰქონდათ ერთმანერთში. მანამ ეს სახელმწიფონი იმას არკვევდნენ, ეს კუნძული ვის ეკუთვნისო, ინგლისმა თვისი ჯარი გადმოსხა კიდეც და კუნძული დაისაკუთრა. ამ დროს ფალკონის კუნძულზედ საუცხოვოდა ჰხარობდა მცენარეობა. გავიდა ერთი წელი და კუნძული გაჰქრა, ზღვამ დაჰფარა. ეს 1894 წელს მოხდა. გასულ წლის აპრილში ეს კუნძული ისევ გამოჩნდა და ეხლა ტონგის მეფემ დაისაკუთრა და კუნძულზედ თვისი დროშა ამართა. არავინ იცის, ეხლა ეს კუნძული სამუდამოდ დარჩება, თუ მალე ისევ ისე გაქრება.

## სასამართლოს მატიანე

თავ. წულუკიძის ქალის მოტაცების საქმე.

ოთხშაბათს, 23 ივლისს, ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე თავადის წულუკიძის ქალის მოტაცებისა. ვიდრე სასამართლო თვისს განაჩენს წაიკითხავდა, თავმჯდომარემ განაცხადა, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ საბუთები ჩვენის განაჩენისაო. დამნაშავენი არიან, თუ არა ბრალდებულნი თავადის ასულის მარიამ წულუკიძის მოტაცებაში წარსულის წლის 16 ნოემბერს სოფ. საწულუკიძეღგან? სასამართლო ამბობს: დიაღ, დამნაშავენი არიან, მაგრამ დამტკიცებული არ არის, რომ ეს მოტაცება ქალის დაუკითხავად მომხდარიყოს. სასამართლოს ამით იმისი თქმა არა ჰსურს, რომ თვით ქალი თანახმა ყო იყოს მოტაცებისა. სასამართლო მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მოტაცებულ ქალისა და ბრალდებულ კონსტ. წულუკიძის შორის ისეთი ნაცნობობა ყოფილა, რომ ბრალდებულს შეეძლო ეფიქრა, ვითომ მარიამ წულუკიძისას მისივე თანხმობით იტაცებდა. ასევე განმარტა სასამართლომ თვისი აზრი ქალის გაუპატიურების შესახებ. ამიტომ სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულთ თავ. კონსტ. წულუკიძეს, აზნ. ს. ადამიას და თავ. ნიკოლოზ წულუკიძეს 8 თვით ციხეში დაპატიმრება და ბრალდებულს თავ. ილია წულუკიძეს 2 თვით დაპატიმრება. სასამართლოში საქმის საწარმოები ხარჯი უნდა გადახდეს ყველა დამნაშავეთ. საბუთები (წერილები, თხოვნები, ლექსები და სხვა) დაიწვას. თავადის სამს. წულუკიძის სამოქალაქო საჩივარი 2,497 მანათის გარდახდევინების შესახებ შეწყნარებულ იქმნას და ეს ფული გარდახდეს ყველა დამნაშავეთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემს წერილს, რომელიც „ივერიის“ მე-128 №-ში დაიბეჭდა, საჭიროდ ვრაცხ დავუმატო შემდეგი: ერთმა ჩემა ნაცნობმა მაუწყა, რომ ვითომც ალ. ნათაძის წიგნი ამ წელიწადს იქმნა მოწონებულიო და, მაშასადამე, ის შარშან როგორ იტყოდა, რომ ჩემი წიგნი მოიწონესო. ამის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ ფაქტიკურსა და ფორმალურს მოწონებას შორის გადის თითქმის მთელი წელიწადი. ჯერ ხელთნაწერს რეცენზენტები მოიწონებენ ხოლმე, ამას ჰქვიან ფაქტიკური მოწონება, მერე ამ მოწონებულს განიხილვენ ხოლმე მზრუნველის საბჭოს კრებაზე, რომელიც სასულიერო ნაწილს წიგნებისას უგზავნის სასულიერო მთავრობას განსახილველ-მოსაწონებლად. უკანასკნელი წიგნის მოწონების ამბავს ჰბეჭდავს „ცირკულიარში“ და ამასობაში გადის თითქმის ერთი წელიწადი.

რომ ჩვენ სრულიად მართალი ვთქვათ და ცილის დაწამება არავის შეუძლიან, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ შარშან შემოდგომაზედ „კვალშიაც“ იყო შენიშვნა დასტამბული,—ალ. ნათაძის წიგნი მთავრობისაგან მოწონებულიაო.

ზ. ჭიჭინაძე

# განცხადებანი


ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

**კაიშაურის ეკკლესიის ამშენებელი კამიტეტი** ამით აცხადებს, რომ დუშეთის მაზრის სოფელ კაიშაურში **უნდა აშენდეს ახალი ეკკლესია** დამტკიცებულის გეგმით. მსურველს შეუძლიან **ნარდად აიღოს მისი აშენება.**

პირობებისა და ფასის შეტყობა შეიძლება ეგზარხოსის კანცელარიაში და სოფ. კაიშაურის მღვდელთან.

(4—144—4)

**იყიდება**

კვირაცხოვლისა და „ობშჩესტვენი“ ქუჩაზედ, პოლიციის მე-5 ნაწილში ცალიერი ადგილი 70 ოთხ-კუთხი საჟ. საშენობო მასალით.

მსურველმა მიჰმართოს: დიდ „ვოდოვოზნი“ ქუჩაზედ, აივაზოვის სახლის ეზოში ე. თ.

(7—183—7)




(11—მ—2)

**ცნობილ ფაბრიკების**



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(9)

გამოვიდა და ისყიდება

**ი. პ. ბრონ ფონ-ბრენნერის წიგნი**

**საკომმერციო არითმეტიკა**

სავაჭრო და საბანკო ოპერაციები

სრული სახელმძღვანელო 520 ამოცანით და ცხრილებით.

**ფასი 2 მანეთი**

ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ავტორთან: მიხეილის ქუჩა, № 71, და ბარიათინსკის ქუჩა, სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

(5—6.—3)



ვერცხლისა



ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




**ქარხანა**

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

**ა. ა. თუთაევისა**

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამღებრო ქარხნიდგან (заводъ красокъ) ეძლევათ მათ საუკეთესოდ მომზადებული საღებავები (კრასკები). დადგა რა ზაფხული, ვამზადებ ყოველს ნაირს საღებავს: იატაკებისას, სახურავებისას, კარ-ფანჯრებისას, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავება იმაშია, რომ ზეთით არეულ კრასკებს ფუთს მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

უმთავრესი ქარხანა გასალესად კრასკებისა გადავიტანე მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97, და წვრილად გასაყიდად ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება—ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიჰმართონ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარიშების გამო მსყიდველები მიჰყავთ იქ, სადაც უვარგისს საღებავებს აძლევენ.

ამათ გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარს რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—6.—3)

**საკომერციო კურსები**

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა სახნგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—9)


Дозволено пензурою, Тифлисъ 25-го Іюля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.